*დანართი №4*

# უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

11.04.2023

## დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

## ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

## ექსპერტი

გიორგი ზუბიტაშვილი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 218076542 |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1] | სპორტი |
| 2 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 3 | კვალიფიკაციის დონე[2] | მეექვსე |
| 4 | კვალიფიკაციის დასახელება | სპორტის ბაკალავრი |
| 5 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3] | |
| 6 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4] | სპორტი, 1014 |
| 7 | სწავლების ენა | ქართული |
| 8 | ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| 9 | განხორციელების ადგილი[5] | საქართველო, 1400, ქ. გორი,ჭავჭავაძის N68, სასწავლო კორპუსი N2 |
| 10 | საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | აკრედიტებული, 11.04.2022, N374722 |
| 11 | გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 28.03.2022 |
| 12 | საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი | 12 თვე, 2023 წლის 28 მარტი |
| 13 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 2030 წლის 31 დეკემბერი |

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

## საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ☒ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ☒ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | ☒ | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | ☒ | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ☒ | | | |

## შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდებულია მოხდეს გარკვეული სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის ოპტიმიზაცია, კერძოდ: შემცირდეს მძლეოსნობის კურსებისთვის გამოყოფილ კრედიტთა რაოდენობა და დარჩეს „მძლეოსნობა-1“ (5 კრედიტი) და „მძლეოსნობა -2“ (5 კრედიტი);“ტანვარჯიში-1“ და „ტანვარჯიში-2“ გახდეს 5-5 კრედიტიანი; „მოძრავი თამაშები“ გახდეს 5 კრედიტიანი;
2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „სპორტული წვრთვნის საფუძვლების“ ნაცვლად პროგრამაში გათვალისწინებულ იქნეს სასწავლო კურსები „სპორტული წვრთვნის საფუძვლები-1“ (5 კრედიტი) და „სპორტული წვრთვნის საფუძვლები-2“(5 კრედიტი);
3. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის „სპორტის მენეჯმენტი“ სილაბუსი, კურსის დასახელებისა და შინაარსის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
4. რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკა განხორციელდეს მხოლოდ ისეთ ობიექტებზე, სადაც იქნება უზრუნველყოფილი პრაქტიკის მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და გამოცდილების მიღება, სადაც მოხდება სპორტის პრაქტიკულ დისციპლინებში მიღებული თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების რეალიზება პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის ფუნქციით და მოზარდებთან დაკავშირებული მუშაობის გზით (სადაც ყურადღება გამახვილდება საწვრთნელი მეცადინეობების ჩატარებაზე, სამწვრთნელო საკითხებზე და ა.შ.);
5. რეკომენდებულია ყურადღება გამახვილდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ახალი გამოცემებით შევსების/ჩანაცვლების საკითხებზე;
6. რეკომენდებულია წინაპირობის სახით, მიეთითოს მხოლოდ ის სასწავლო კურსები, რომლებიც რეალურად აუცილებელია კონკრეტული სასწავლო კურსის შესწავლისათვის;
7. პრაქტიკული დისციპლინების სილაბუსებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის სპეციფიკური მეთოდები, რომლებიც უშუალოდ გამოიყენება თუნდაც ერთი კონკრეტული სასწავლო კვირისთვის;
8. განხორციელდეს სილაბუსებში მითითებული წრიული წვრთვნის მეთოდის ამოღება ან იმავე სილაბუსებში დეტალურად განიმარტოს მისი გამოყენების საჭიროება;
9. რეკომენდირებულია, რომ კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურმა გააუმჯობესოს არსებული და დანერგოს სტუდენტებთან მუშაობის ახალი მექანიზმები;
10. რეკომენდებულია პროგრამის ყველა კომპონენტის განხორციელება იყოს უზრუნველყოფილი ამ კომპონენტის სპეციფიკის შესაბამისი კომპეტენციის მქონე აკადემიური და/ან მოწვეული პერსონალის მიერ-პრაქტიკული დისციპლინების ყოველი ცალკეული სასწავლო კურსი (თეორიული თუ არა, პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების დონეზე მაინც) წაიყვანოს შესაბამისი დარგის სპეციალისტმა და ეს დადასტურდეს სილაბუსებსა და ხელშეკრულებებში;
11. 4.4 ქვესტანდარტის მოთხოვნის თანახმად, დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით და პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე, ცალკე დოკუმენტის სახით წარმოადგინოს ეკონომიკურად მიღწევადი პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილი იქნება პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები.

---

[6]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით.

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

საგანმანათლებლო პროგრამამ ანგარიში წარმოადგინა 2023 წლის 28 მარტს.

საბჭოს გადაწყვეტილებით (11/04/2022; MES 4 22 0000374722), განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა იყო 2023 წლის 28 მარტამდე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების მიზნით, სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 19 ივლისის N15 განკარგულებით (იხ. დანართი 1), შეიქმნა სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფი. ამ ჯგუფში გაერთიანდნენ:

- სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი;
- ფაკულტეტის დეკანი;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- აკადემიური და მოწვეული სპეციალისტები;
- სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი;
- სტუდენტთა საქმის მწარმოებელი;
- დამსაქმებელი;
- სტუდენტი;
- კურსდამთავრებული.

რეკომენდაციების გათვალისწინების პროცესში, საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფმა წარმოადგინა ინფორმაცია თითოეული რეკომენდაციის გადაწყვეტის გზაზე განხორციელებული ცვლილების შესახებ.

## რჩევ(ებ)ი[8]

არ არსებობს

---

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

ინსტიტუციის მიერ მოხდა ინფორმაციის წარმოდგენა, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა 11-ვე რეკომენდაციის შესრულების გზაზე. ეს დოკუმენტაცია - ანგარიშთან ერთად - თავმოყრილია მათ მიერ გადმოგზავნილ შესაბამის 11 საქაღალდეში, თანდართული განკარგულებებით, დადგენილებებით, სასწავლო გეგმით, სილაბუსებით, მემორანდუმებით, ბიუჯეტის ამსახველი დოკუმენტით და ა.შ.

აღნიშნულმა გარემოებამ გააადვილა მათ მიერ ანგარიშში ასახული ინფორმაციის გადაზუსტება შესაბამისი რეკომენდაციების მიხედვით.

დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ინსტიტუციის მიერ გადადგმული ნაბიჯები, თითოეულ რეკომენდაციის შესრულების გზაზე, არის შესატყვისი და საკმარისი.

## დამატებითი ინფორმაცია[10]

---
---
---

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

## რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[12] | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |
| კომპონენტის დასახელება[13] | 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
| რეკომენდაცია I[14] | რეკომენდებულია მოხდეს გარკვეული სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის ოპტიმიზაცია, კერძოდ: შემცირდეს მძლეოსნობის კურსებისთვის გამოყოფილ კრედიტთა რაოდენობა და დარჩეს „მძლეოსნობა-1“ (5 კრედიტი) და „მძლეოსნობა -2“ (5 კრედიტი); “ტანვარჯიში-1“ და „ტანვარჯიში-2“ გახდეს 5-5 კრედიტიანი; „მოძრავი თამაშები“ გახდეს 5 კრედიტიანი; |
| შეფასება | პირველი რეკომენდაციის შესრულების მიზნით,<br>• სასწავლო კურსები - „მძლეოსნობა-I“ (3 კრედიტი), „მძლეოსნობა-II“ (3 კრედიტი), „მძლეოსნობა-III“ (5 კრედიტი) და „მძლეოსნობა -IV“ (5 კრედიტი), შეიცვალა სასწავლო კურსებით - „მძლეოსნობა-I“ (5 კრედიტი) და „მძლეოსნობა -II“ (5 კრედიტი);<br>• სასწავლო კურსები - “ტანვარჯიში-I“(3 კრედიტი) და „ტანვარჯიში-II“ (3 კრედიტი), შეიცვალა სასწავლო კურსებით - “ტანვარჯიში-I“ (5 კრედიტი) და „ტანვარჯიში-II“ (5 კრედიტი);<br>• სასწავლო კურსი „მოძრავი თამაშები“ (4 კრედიტი) შეიცვალა სასწავლო კურსით - „მოძრავი თამაშები“ (5 კრედიტი).<br><br>**რეკომენდაცია შესრულებულია** |
| რჩევა I [15] | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • N2 დანართი - კერძოდ N6-62 დადგენილება (19.10.2022);<br>• სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა; |

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | • მოძრავი თამაშების, მძლეოსნობისა (1, 2,) და ტანვარჯიშის (1, 2) სილაბუსები. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |
| კომპონენტის დასახელება | 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
| რეკომენდაცია II | რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „სპორტული წვრთვნის საფუძვლების“ ნაცვლად პროგრამაში გათვალისწინებულ იქნეს სასწავლო კურსები „სპორტული წვრთვნის საფუძვლები-1“ (5 კრედიტი) და „სპორტული წვრთვნის საფუძვლები-2“ (5 კრედიტი) |
| შეფასება | მეორე რეკომენდაციის შესრულების მიზნით,<br>• პროგრამაში სპორტული წვრთნის საფუძვლების კურსი გაიყო ორ ნაწილად და თითოეულს მიენიჭა 5-5 კრედიტი („სპორტული წვრთვნის საფუძვლები 1“ (5 კრედიტი), და „სპორტული წვრთვნის საფუძვლები 2“ (5 კრედიტი).<br><br>**რეკომენდაცია შესრულებულია** |
| რჩევა II | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • N3 დანართი;<br>• სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;<br>• შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები (სპორტული წვრთნის საფუძვლები 1, 2). |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |
| კომპონენტის დასახელება | 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
| რეკომენდაცია III | რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის „სპორტის მენეჯმენტი“ სილაბუსი, კურსის დასახელებისა და შინაარსის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით |
| შეფასება | მესამე რეკომენდაციის შესრულების მიზნით,<br>• სასწავლო კურსი „სპორტის მენეჯმენტის“ |

| | |
|---|---|
| | სილაბუსი გადამუშავდა და მისი შინაარსი შესაბამისობაში მოვიდა მისივე დასახელებასთან.<br><br>**რეკომენდაცია შესრულებულია** |
| რჩევა III | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • დანართი 4;<br>• სასწავლო კურსის „სპორტის მენეჯმენტის“ სილაბუსი. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |
| კომპონენტის დასახელება | 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
| რეკომენდაცია IV | რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკა განხორციელდეს მხოლოდ ისეთ ობიექტებზე, სადაც იქნება უზრუნველყოფილი პრაქტიკის მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და გამოცდილების მიღება, სადაც მოხდება სპორტის პრაქტიკულ დისციპლინებში მიღებული თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების რეალიზება პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის ფუნქციით და მოზარდებთან დაკავშირებული მუშაობის გზით (სადაც ყურადღება გამახვილდება საწვრთნელი მეცადინეობების ჩატარებაზე, სამწვრთნელო საკითხებზე და ა.შ.); |
| შეფასება | მეოთხე რეკომენდაციის შესრულების მიზნით,<br>• სათანადო მემორანდუმი გაფორმდა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოსთან, სადაც კონკრეტულად იქნა მითითებული ის სპორტული სკოლები, მოედნები და დარბაზები, სადაც განხორციელდება როგორც პრაქტიკული მეცადინეობები საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეულ სასწავლო კურსებში, ასევე პრაქტიკის კომპონენტი.<br><br>**რეკომენდაცია შესრულებულია** |
| რჩევა IV | |
| შეფასება | |

| | |
|---|---|
| მტკიცებულებ(ები)ა | • დანართი 5 და მასში წარმოდგენილი მემორანდუმები. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |
| კომპონენტის დასახელება | 2.3 სასწავლო კურსი |
| რეკომენდაცია V | რეკომენდებულია ყურადღება გამახვილდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ახალი გამოცემებით შევსების/ჩანაცვლების საკითხებზე |
| შეფასება | მეხუთე რეკომენდაციის შესრულების მიზნით,<br>• რიგი სასწავლო კურსების სილაბუსები გამდიდრდა სავალდებულო ლიტერატურის კუთხით. ეს სილაბუსებია: „ტანვარჯიში 1“, „ტანვარჯიში 2“, „სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორია“, „ფეხბურთი“, „ცურვა“ და „ჭადრაკი“.<br><br>**რეკომენდაცია შესრულებულია** |
| რჩევა V | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • დანართი 6 და იქ არსებული შესაბამის ექვსი სასწავლო კურსის სილაბუსი. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |
| კომპონენტის დასახელება | 2.3 სასწავლო კურსი |
| რეკომენდაცია VI | რეკომენდებულია წინაპირობის სახით მიეთითოს მხოლოდ ის სასწავლო კურსები, რომლებიც რეალურად აუცილებელია კონკრეტული სასწავლო კურსის შესწავლისათვის |
| შეფასება | მეექვსე რეკომენდაციის შესრულების მიზნით,<br>• განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის რიგი სასწავლო კურსების წინაპირობების კორექტირება. კერძოდ: სასწავლო კურსებს „თავისუფალი ჭიდაობა 1“ და „ძიუდო 1“ აღარ განესაზღვრათ წინაპირობად ქართული ჭიდაობა.<br><br>**რეკომენდაცია შესრულებულია** |

| | |
|---|---|
| რჩევა VI | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • დანართი 7;<br>• საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობების რუკა;<br>• „თავისუფალი ჭიდაობა 1“ და „ძიუდო 1“-ის სილაბუსები. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |
| კომპონენტის დასახელება | 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
| რეკომენდაცია VII | პრაქტიკული დისციპლინების სილაბუსებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის სპეციფიკური მეთოდები, რომლებიც უშუალოდ გამოიყენება, თუნდაც ერთი კონკრეტული სასწავლო კვირისთვის |
| შეფასება | მეშვიდე რეკომენდაციის შესრულების მიზნით,<br>• სპორტის სხვადასხვა სახეობებთან დაკავშირებული რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში (მძლეოსნობა I, მძლეოსნობა II, ცურვა და ა.შ.) განხორციელდა სწავლებისა და სწავლის მეთოდების კორექტირება. კერძოდ რიგი სასწავლო კურსებიდან ამოღებული იქნა ცვალებადი ვარჯიშობის მეთოდი, კომბინირებული ვარჯიშობის მეთოდი და წრიული წვრთნის მეთოდი.<br>• ამასთან ერთად, „თვალსაჩინოების კინოციკლოგრაფიული და ვიდეო მაგნიტოფონური დემონსტრირების მეთოდი“ ჩანაცვლდა „მულტიმედია საშუალებების გამოყენებით თვალსაჩინოების დემონსტრირების მეთოდით“.<br><br>**რეკომენდაცია შესრულებულია** |
| რჩევა VII | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • დანართი 8;<br>• შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსები („მძლეოსნობა I”, „მძლეოსნობა II”, „ცურვა“, „ტანვარჯიში I”, „ტანვარჯიში II”, „მოძრავი თამაშები“, „ქართული ჭიდაობა“, „თავისუფალი ჭიდაობა 1“, „თავისუფალი ჭიდაობა 2“, „კალათბურთი“, „ძიუდო 1“ |

| | |
|---|---|
| | „ძიუდო 2“, „ფეხბურთი“, „ჩოგბურთი“, „ხელბურთი“, „ფრენბურთი“, „კრივი“, „რაგბი“). |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |
| კომპონენტის დასახელება | 2.5სწავლება-სწავლის მეთოდები |
| რეკომენდაცია VIII | განხორციელდეს სილაბუსებში მითითებული წრიული წვრთვნის მეთოდის ამოღება ან იმავე სილაბუსებში დეტალურად განიმარტოს მისი გამოყენების საჭიროება |
| შეფასება | მერვე რეკომენდაციის შესრულების მიზნით,<br>• რიგი სასწავლო კურსებიდან ამოღებული იქნა წრიული წვრთვნის მეთოდი.<br><br>**რეკომენდაცია შესრულებულია** |
| რჩევა VIII | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • დანართი 8;<br>• შესაბამისი სილაბუსები: „მძლეოსნობა I”, „მძლეოსნობა II”, „ცურვა“, „ტანვარჯიში I”, „ტანვარჯიში II”, „მოძრავი თამაშები“, „ქართული ჭიდაობა“, „თავისუფალი ჭიდაობა 1“, „თავისუფალი ჭიდაობა 2“, „კალათბურთი“, „ძიუდო 1“ „ძიუდო 2“, „ფეხბურთი“, „ჩოგბურთი“, „ხელბურთი“, „ფრენბურთი“, „კრივი“, „რაგბი“. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა |
| კომპონენტის დასახელება | 3.1სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
| რეკომენდაცია IX | რეკომენდირებულია, რომ კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურმა გააუმჯობესოს არსებული და დანერგოს სტუდენტებთან მუშაობის ახალი მექანიზმები |
| შეფასება | მეცხრე რეკომენდაციის შესრულების მიზნით,<br>• სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ, სხვა აქტივობებთან ერთად, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: დაინერგა SMS ოფისის მომსახურება, უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის |

| | |
|---|---|
| | მიმდინარეობს დასაქმების პორტალის შემუშავება, 2022 წელს ჩატარდა „დასაქმების ფორუმი“, შედგა კურსდამთავრებულების და სტუდენტების შეხვედრა დასაქმების სააგენტოს წარმომადგენლებთან და დაიგეგმა და ხორციელდება ტრენინგების ციკლი, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობას.<br><br>**რეკომენდაცია შესრულებულია** |
| რჩევა IX | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • დანართი 9, სადაც წარმოდგენილია SMS ოფისის მომსახურების ინვოისი, ჩატარებული ღონისძიებების ბმულები და დაგეგმილი ტრენინგების ციკლის დოკუმენტი. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა |
| კომპონენტის დასახელება | 4.1ადამიანური რესურსი |
| რეკომენდაცია X | რეკომენდებულია პროგრამის ყველა კომპონენტის განხორციელება იყოს უზრუნველყოფილი ამ კომპონენტის სპეციფიკის შესაბამისი კომპეტენციის მქონე აკადემიური და/ან მოწვეული პერსონალის მიერ-პრაქტიკული დისციპლინების ყოველი ცალკეული სასწავლო კურსი (თეორიული თუ არა, პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების დონეზე მაინც) წაიყვანოს შესაბამისი დარგის სპეციალისტმა და ეს დადასტურდეს სილაბუსებსა და ხელშეკრულებებში |
| შეფასება | მეათე რეკომენდაციის შესრულების მიზნით,<br>• პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსების პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად მოწვეულ იქნა შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტები. კერძოდ, „ცურვის“, „კრივის“, „რაგბისა“ და „ქართული ჭიდაობის“ მიმართულებით.<br><br>**რეკომენდაცია შესრულებულია** |
| რჩევა X | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • დანართი 10, სადაც წარმოდგენილია |

| | |
|---|---|
| | შესაბამისი ხელშეკრულებები, კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტები, და სილაბუსები შემდეგი სასწავლო კურსებისთვის: "ცურვა", „კრივი", „რაგბი" და „ქართული ჭიდაობა". |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა |
| კომპონენტის დასახელება | 4.4პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა |
| რეკომენდაცია XI | 4.4 ქვესტანდარტის მოთხოვნის თანახმად, დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით და პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე, ცალკე დოკუმენტის სახითწარმოადგინოს ეკონომიკურად მიღწევადი პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილი იქნება პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები |
| შეფასება | მეთერთმეტე რეკომენდაციის შესრულების მიზნით,<br>• ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავდა სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ეკონომიკურად მიღწევადია და სადაც გაწერილია აღნიშნული პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, აგრეთვე პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ხარჯების სახეობები და რაოდენობები.<br>• კერძოდ, პროგრამაზე დარეგისტრირებული სტუდენტების მიერ წლიური შემონატანი თანხის მთლიანი ოდენობა განაწილებულია 7 სექციად: პერსონალის ხელფასად, კომუნალურ გადასახადის სექციად და ა.შ., და თითოეულ ამ სექციას პროგრამის ბიუჯეტის კონკრეტული პროცენტული მაჩვენებელი აქვს გამოყოფილი, რაც ნათელს და გასაგებს ხდის თუ როგორ და რა პორციით ხდება პროგრამის მდგრადობისთვის აუცილებელი ფინანსების განაწილება.<br><br>**რეკომენდაცია შესრულებულია** |
| რჩევა XI | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • დანართი 11. |

## რჩევების ნაწილი არ არსებობს

**თანდართული დოკუმენტაცია[16]**

1. დანართი 1-საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების მიზნით, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 19 ივლისის N15 განკარგულება;
2. დანართი 2- აკადემიური საბჭოს დადგენილება N6-62; სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა; სილაბუსები სასწავლო კურსებისთვის: „მძლეოსნობა I“, „მძლეოსნობა II“, „ტანვარჯიში I“, „ტანვარჯიში II“, „მოძრავი თამაშები“;
3. დანართი 3-სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა; სილაბუსები სასწავლო კურსებისთვის: „სპორტული წვრთვნის საფუძვლები 1“ (5 კრედიტი), „სპორტული წვრთვნის საფუძვლები 2“ (5 კრედიტი);
4. დანართი 4-სილაბუსი სასწავლო კურსის: „სპორტის მენეჯმენტი“;
5. დანართი 5 - სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პრაქტიკის ობიექტებს შორის გაფორმებული მემორანდუმები;
6. დანართი 6 - სილაბუსები სასწავლო კურსებისთვის: “ტანვარჯიში I”, “ტანვარჯიში II“, „სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორია“, „ფეხბურთი“, „ცურვა“, „ჭადრაკი“;
7. დანართი 7 - საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობების რუკა; სილაბუსები სასწავლო კურსებისთვის: „თავისუფალი ჭიდაობა 1“, „ძიუდო 1“;
8. დანართი 8 - სილაბუსები სასწავლო კურსებისთვის: „მძლეოსნობა I”, „მძლეოსნობა II”, „ცურვა“, „ტანვარჯიში I”, „ტანვარჯიში II”, „მოძრავი თამაშები“, „ქართული ჭიდაობა“, „თავისუფალი ჭიდაობა 1“, „თავისუფალი ჭიდაობა 2“, „კალათბურთი“, „ძიუდო 1“ „ძიუდო 2“, „ფეხბურთი“, „ჩოგბურთი“, „ხელბურთი“, „ფრენბურთი“, „კრივი“, „რაგბი“.
9. დანართი 9 - SMS ოფისის მომსახურების ინვოისი, ჩატარებული ღონისძიებების ბმულები, დაგეგმილი ტრენინგების ციკლის დოკუმენტი;
10. დანართი 10 - ხელშეკრულებები, კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტები, სილაბუსები სასწავლო კურსებისთვის: “ცურვა“, „კრივი“, „რაგბი“, „ქართული ჭიდაობა“,
11. დანართი 11. პროგრამის ბიუჯეტი.

*ექსპერტის ხელმოწერა*

[16]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა